

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 20 მაისის 11 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ 0 ლ ე ბ ა 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 20 მაისის 11 სხდომაზე სტუ-ის საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა კონსტანტინე ქურციკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 25 აპრილის N MES 016 00 429 784 წერილისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 20 აპრილის N327 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებას - მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი და ივლისის თვეებისათვის, გამოყოფილია 491 250 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 491 250 ლარით, ხოლო ხარჯვით ნაწილში გაიწეროს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ დაფინანსების პროგრამით, სხვა ხარჯების სტიპენდიების მუხლში;

2. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის მიერ, შიგა საუნივერსიტეტო სამეცნიერო გამოყენებითი პროექტებისათვის გამოყოფილი თანხები, კერძოდ:

2.1. 2016 წლის 21 მარტის №12 ოქმის საფუძველზე, მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის მიერ განხილულ და მოწონებულ იქნა პროექტი „ვირტუალური სასწავლო რესურსი ქიმიაში“ (ხელმძღვანელი ჟუჟუნა პეტრიაშვილი); პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 10 000 ლარს.

ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების პუნქტიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 8 500 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო 1 500 ლარი გადატანილ იქნეს კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში;

2.2. 2016 წლის 7 აპრილის №16 ოქმის საფუძველზე, მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის მიერ განხილულ და მოწონებულ იქნა სამეცნიერო პროექტი „მანგანუმის მადნის გამდიდრების შლამების მანგანუმის მონოქსიდად სამრეწველო უტილიზაციის მაღალრენტაბელური ქიმიურ-მეტალურგიული კომპლექსური სამრეწველო დანადგარის მოქმედი პროტოტიპის შექმნა“ (ხელმძღვანელი არჩილ ჭირაქაძე); პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 20 000 ლარს;

ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების პუნქტიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 17 280 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; 220 ლარი გადატანილ იქნეს საკანცელარიო საქონელის შეძენის ხარჯების მუხლში; 400 ლარი გადატანილ იქნეს სამეცნიერო ხარჯების მუხლში; 2 100 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენის მუხლში;

2.3. 2016 წლის 7 აპრილის №17 ოქმის საფუძველზე, მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის მიერ განხილულ და მოწონებულ იქნა სამეცნიერო პროექტი „უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ავტომატიზებული სისტემა“ (ხელმძღვანელი ოთარ ზუმბურიძე); პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 15 000 ლარს.

ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების პუნქტიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 13 500 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; 1 200 ლარი გადატანილ იქნეს კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის მუხლში; 300 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენის მუხლში;

2.4. 2016 წლის 7 აპრილის №15 ოქმის საფუძველზე, მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის მიერ განხილულ და მოწონებულ იქნა სამეცნიერო პროექტი „შავი ზღვის წყლის კომპლექსური გადამუშავება სამედიცინო და ტექნიკური მასალების მისაღებად და მათი კვლევა“ (ხელმძღვანელი თამაზ გაბადაძე); პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 10 000 ლარს.

ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების პუნქტიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 10 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

2.5. 2016 წლის 7 აპრილის №17 ოქმის საფუძველზე, მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის მიერ განხილულ და მოწონებულ იქნა სამეცნიერო პროექტი „მუდმივმაგნიტებიანი ენერგეტიკული დანადგარის საპილოტე ნიმუშის შექმნა“ (ხელმძღვანელი ჯემალ გოგისვანიძე); პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 30 000 ლარს.

ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების პუნქტიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 19 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; სხვა ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების მუხლიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; ხოლო 6 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის პუნქტში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული;

2.6. 2016 წლის 7 აპრილის №18 ოქმის საფუძველზე, მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის მიერ განხილულ და მოწონებულ იქნა სამეცნიერო პროექტი „კონფლიქტის შიგა სახელმწიფოებრივი რეგულაციის ეფექტურობის შეფასების კოგნიტიური მოდელის დამუშავება სოციალური, პოლიტიკური და

ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით“ (ხელმძღვანელი მზია კვიციანი); პროექტისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 32 000 ლარს.

ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა ხარჯების მუხლის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტიდან 32 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

3. 2016 წლის 9 მარტის №130-2016-2 ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გაფორმებულია ატომური კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტსა (ქალაქი დუბნა) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის და ეს უკანასკნელი იღებს ვალდებულებას NICA – MPD პროექტით გათვალისწინებული მრავალმიზნობრივი დეტექტორის () გადაადგილების სისტემის სქემის შექმნისათვის საჭირო სამუშაოების შესრულებაზე, სტუ-ის სახაზინო ანგარიშზე ჩარიცხულია 22 300 აშშ დოლარი, რაც ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 49 760 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 49 760 ლარით; ხოლო ხარჯვით ნაწილში გაიწეროს ეკონომიკური საქმიანობის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

4. დამტკიცდეს შიგა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტებში განსახორციელებელი შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

4.1. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სამეცნიერო ხარჯებიდან 3 950 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში (პროექტის ხელმძღვანელი თამაზ აგლაძე);

4.2. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა-დანადგარების მუხლიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული – 800 ლარისა და მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის ხარჯებიდან – 3 970 ლარის ჯამიდან სამეცნიერო ხარჯებში გადატანილ იქნეს 3 185 ლარი, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში გადატანილ იქნეს 1 585 ლარი (პროექტის ხელმძღვანელი თამაზ ბაციკაძე);

4.3. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების, ელექტრომოწყობილობები, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლიდან 1 000 ლარის; სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის მუხლიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 1 440 ლარის; საკანცელარიო მასალების შეძენის მუხლიდან 150 ლარის ჯამიდან გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის ხარჯების მუხლში 665 ლარი, ხოლო ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის მუხლში გადატანილ იქნეს 1 925 ლარი (პროექტის ხელმძღვანელი ა. მოსეშვილი);

4.4. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სამეცნიერო ხარჯებიდან გადატანილ იქნეს: 1 700 ლარი არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარების პუნქტში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული; 34 ლარი საკანცელარიო მასალების შეძენის ხარჯებში; 1 206 ლარი მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა, დამონტაჟება/დემონტაჟის ხარჯებში; ხოლო 60 ლარი

ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის მუხლში (პროექტის ხელმძღვანელი ალექსი გერასიმოვი).

5. დამტკიცდეს საფაკულტეტო და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარჯთაღრიცხვასა და შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში განსახორციელებელი შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

5.1. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის პუნქტიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 10 000 ლარი გადატანილ იქნეს ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთებისა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო და სასტამბო ხარჯების პუნქტში, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 3 500 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების პუნქტში;

5.2. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის პუნქტიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 13 670 ლარი გადატანილ იქნეს სხვა შენობა-ნაგებობების პუნქტში;

5.3. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე დაგეგმილია „SCADA-ს ლაბორატორიული კომპლექსის“ პროექტის განხორციელება, რისთვისაც საჭიროა გამოიყოს 51 900 ლარი ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც განხილულ და მოწონებულ იქნა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2016 წლის 6 მაისის N4 ოქმით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შევიდეს შემდეგი ცვლილება, კერძოდ: შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 34 000 გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენის, დამონტაჟების ხარჯების მუხლში; ხოლო დარჩენილი 17 900 ლარი გადაცემულ იქნეს პროექტში მონაწილეთათვის ხელფასის სახით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან;

5.4. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე დაგეგმილია კორპუსში არსებული ლიფტების რემონტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში პრემიის მუხლიდან 5 800 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებში;

5.5. სტუ-ის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ელექტროენერჯის ხარჯებიდან – 1 200 ლარი; ხოლო წყლის ხარჯებიდან – 500 ლარი; სულ 1 700 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯების მუხლში;

5.6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის დანამატის პუნქტიდან 6 000 ლარი, მივლინების მუხლიდან 5 000 ლარი, ხოლო სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხარჯების პუნქტიდან 4 225 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტში.

6. „რაგბის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შევიდეს შემდეგი ცვლილება, კერძოდ: სამედიცინო დანიშნულების მასალების, ინსტრუმენტების შეძენის ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში; 500 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; ხოლო საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯებიდან, რომელიც არ კლასიფიცირდება დანარჩენ მუხლებში 5 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 20 მაისის 11 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 20 მაისის 11 სხდომაზე სტუ-ის საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა კონსტანტინე ქურციკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დამტკიცებულ სამტატო განრიგში თანამდებობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დამტკიცებულ სამტატო განრიგში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები, ნაცვლად: ჩანაწერისა მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ჩაიწეროს მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე); არსებული 3 სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულისა - განყოფილების ხელმძღვანელი (უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი) ჩაიწეროს – განყოფილების ხელმძღვანელი (მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი) და არსებული მეცნიერ-თანამშრომელი (სწავლული მდივანი) – სწავლული მდივანი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 20 მაისის 11 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 20 მაისის 11 სხდომაზე პროფ. დავით ჩიქოვანმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ქონების ჩამოწერის შესახებ.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 20 მაისის 11 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 20 მაისის 11 სხდომაზე პროფ. რუსუდან ქუთათელაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის წარმოებასთან კავშირის საინოვაციო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 მარტის დადგენილება №1966.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის წარმოებასთან კავშირის საინოვაციო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

- დებულების მე-2 თავს (ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები) დაემატოს 2.13 პუნქტი შემდეგი რედაქციით: სტუ-ში ევროკომისიის ტემპუსის №544191 პროექტის – „ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისათვის სასტუმრო მეურნეობის მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება საქართველოში, აზერბაიჯანსა და მოლდავეთში“ შედეგების რეალიზაციისათვის, სასტუმროს მომუშავე პერსონალის პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების მიზნით მოკლე და გრძელვადიანი სასწავლო კურსების/ტრენინგების ჩატარება:
 1. სასტუმრო პერსონალისა და უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სასერტიფიკატო მუდმივმოქმედი კურსები;
 2. ინგლისური, რუსული, ფრანგული და გერმანული ენების სასერტიფიკატო კურსები ტურიზმის ბიზნესში დასაქმებულთა, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის;
 3. კომპიუტერული ტექნოლოგიების შესწავლის სასერტიფიკატო კურსები;
 4. აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები;
 5. ბუღალტრული აღრიცხვის სასერტიფიკატო კურსები.
- დებულების მე-3 თავის (ცენტრის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები) 3.1 პუნქტის ჩამონათვალს დაემატოს ბიზნესინკუბატორები და ტრენინგცენტრები.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე